ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის
სხდომის ოქმი N 38

9 ივნისი, 2020 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
13:30 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
თ. ტალიაშვილი, ა. ლაშხი, ბ. დავითულიანი, გ. გოცირიძე, ე. კუხიანიძე, მ. დარჩია, ნ. ვაჩეიშვილი, ქ. ჯოხაძე

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:
1. შალვა ოგბაიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. გიორგი ჩაკვეტაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. დავით ჭელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. დავით რურუა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. ავთანდილ ცინცაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. ლევან ჯაფარიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. გიორგი მუსხელიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:
1. ანდრია ბასილაია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენილი კანდიდატი;
2. ვლადიმერ ჭიღლაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი;
3. მარიამ ჩივაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თამარ ტალიაშვილი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე)

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ანდრია ბასილაიას დანიშვნის თაობაზე თანხმობის მიცემის საკითხის განხილვა.**
   მომხსენებელი: ბატონი ვლადიმერ ჭიღლაძე
   თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი.

2. **საკითხი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.**

მომხსენებელი: ქალბატონი მარიამ ჩივაძე

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტი.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომის მონაწილეებს, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და წარმოადგინა დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად დამტკიცდა.

მოისმინეს:

სხდომის დასაწყისში სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომა წარმოადგენდა თბილისის საკრებულოს ორი კომისიის - განათლებისა და კულტურისა და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიების გაერთიანებულ სხდომას. ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა მიმართა მერიის ადმინისტრაციის უფროსს ბატონ ვლადიმერ ჭიღლაძეს, წარმოედგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი თბილისის მერის მოადგილის თანამდებობაზე ანდრია ბასილაიას დანიშვნის თაობაზე.

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსის, ბატონი ვლადიმერ ჭიღლაძის განმარტებით, ბატონ ანდრია ბასილაიას განათლება მიღებული აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებში, რის შემდეგაც ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობდა როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში; ხოლო 2017 წლიდან მუშაობდა ქალაქ თბილისის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსად, შემდეგ კი ქალაქ თბილისის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსად. ბატონი ვლადიმერ ჭიღლაძის თქმით, თბილისის მერიაში აღნიშნულ პოზიციებზე მუშაობის დროს ბატონმა ანდრია ბასილაიამ შეიმუშავა არაერთი საინტერესო პროექტი.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის ორი მოწვევის თავმჯდომარეობის პერიოდში, პირადად არაერთხელ ჰქონდა წარმატებული საქმიანი ურთიერთობა ბატონ ანდრია ბასილაიასთან. მაგალითად, ისეთ საკითხთან მიმართებით, როგორიც არის თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის ინიციატივით დედაქალაქში პრაქტიკულად ახალი მიმართულების - კულტურულ-შემოქმედებითი ინდუსტრიები - დამკვიდრება. აღნიშნულ მიმართულებას დღეს უკვე თბილისის ბიუჯეტში ცალკე დამოუკიდებელი და მოცულობითი პროგრამა ეთმობა. დეპუტატის თქმით, თბილისში განათლებისა და კულტურის ხელშეწყობა მნიშვნელოვან ძალისხმევას საჭიროებს. ბატონი ანდრია ბასილაიას აქვს ნათელი ხედვა შემოქმედებით-კულტურული საქმიანობის მნიშვნელობაზე დედაქალაქის ტურისტული პოტენციალისა და ეკონომიკური განვითარებისთვის, დასძინა კომისიის თავმჯდომარემ.

კომისიის წევრმა, ქალბატონმა მარიკა დარჩიამ წარმატებები უსურვა ბატონ ანდრია ბასილაიას და აღნიშნა, რომ ქვეყნისთვის განათლებასა და კულტურას აქვს უდიდესი მნიშვნელობა ნებისმიერ დროს, მიუხედავად თანამედროვეობის გამოწვევებისა. დეპუტატმა ასევე აღნიშნა, რომ დარწმუნებულია, მერის მომავალი მოადგილე განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს დედაქალაქის მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებს.

საკრებულოს წევრის, ბატონი შალვა ოგბაიძის თქმით, მიზანშეწონილია დედაქალაქის ღია სივრცეების გახსნა სამედიცინო უსაფრთხოების წესების დაცვით და აღნიშნა, რომ საჭიროა საკითხზე ცალკე სამუშაო ფორმატში მსჯელობა.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის, ბატონი გიორგი ჩაკვეტაძის განმარტებით, 2017 წლიდან დაიწყო მულტიფუნქციური სპორტული ცენტრების მშენებლობა დიღომსა და ვარკეთლში, რაც მიუხედავად პანდემიისა, არ შეჩერებულა. დეპუტატის თქმით, მნიშვნელოვანია დედაქალაქის საჯარო სკოლების ეზოებში სპორტული ინფრასტრუქტურისა და გამგეობების ბალანსზე არსებული სვირცეების მოწყობაც. ბატონმა გიორგი ჩაკვეტაძემ აღნიშნა, რომ კორონავირუსის

პირობებშიც, დედაქალაქის ბიუჯეტში კვლავ ნარჩუნდება თანხები სტუდენტების წახალისებისთვის.

კომისიის წევრმა ქალბატონმა გულია გოცირიძემ აღნიშნა, რომ ბატონი ანდრია ბასილაიას განათლება და გამოცდილება მნიშვნელოვანი იქნება დედაქალაქისთვის და წარმატებები უსურვა. ასევე, დეპუტატი დაინტერესდა გრძელდება თუ არა სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრის სარემონტო სამუშაოები. ბატონმა ანდრია ბასილაიამ უპასუხა, რომ საკითხს დეტალურად შეისწავლის თანამდებობაზე დანიშვნის შემდგომ და დეტალურად მიაწოდებს ინფორმაციას დეპუტატს.

საკითხთან მიმართებით, ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა განმარტა, რომ სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრის სახით თბილისში იქნება რეგიონში პირველი შეზღუდული შესაძლებლობების პირთა საჭიროებებზე სრულად ადაპტირებული თეატრი. დეპუტატის თქმით, ეს უნიკალური პროექტია და სწორედ ამიტომ სამშენებლო-ინფრასტრუქტურულმა სამუშაოებმა დამატებითი ძალისხმევა მოითხოვა.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

თამარ ტალიაშვილმა, ვლადიმერ ჭიღლაძემ, მარიკა დარჩიამ, შალვა ოგბაიძემ, გიორგი ჩაკვეტაძემ, გულია გოცირიძემ, ანდრია ბასილაიამ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ანდრია ბასილაიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დადებითად შეფასებისა და მისი საკრებულოსთვის განსახილველად გადაცემის შესახებ.

მომხრე _____	7
წინააღმდეგი _____	0
თავი შეიკავა _____	1 (კომისიის წევრმა, ბატონმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა)

განათლებისა და კულტურის კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა, რომ: კომისია დადებითად აფასებს აღნიშნულ საკითხს და მხარს უჭერს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ანდრია ბასილაიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე.

2. სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრულ მეორე საკითხთან მიმართებით, ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა განმარტა, რომ თბილისის ხელოვნების სკოლებში, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლესა და სახლებში 20 000-მდე მოსწავლე სწავლობს, მათ შორის, ათასობით სოციალურად დაუცველია. დედაქალაქის მერის გადაწყვეტილებით, მუნიციპალური პროგრამის - სოციალურად დაუცველი მოსწავლეების უფასო სწავლება - ფარგლებში, მასწავლებლებს უნარჩუნდებათ ანაზღაურება პანდემიის პირობებში.

საკითხი სხდომაზე წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტმა, ქალბატონმა მარიამ ჩივაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ხელოვნების სკოლებში, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში და სახლებში, სპორტულ სკოლებსა და საცურაო აუზებში 2020 წლის მარტიდან კოვიდ 19-ით შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, შეწყვეტილია სასწავლო პროცესი, ხოლო აღნიშნულ დაწესებულებებში დასაქმებული პირების შრომითი ანაზღაურების გაცემის მიზნით, განსახილველად წარმოდგენილი დადგენილების ცვლილების პროექტი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის მხრიდან მათთვის ავანსის გაცემას, რის შესაბამის მომსახურებასაც პანდემიის დასრულების შემდეგ უზრუნველყოფენ. ქალბატონი მარიამის განმარტებით, აღნიშნული ცვლილების მიღება არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს დედაქალაქის 2020 წლის ბიუჯეტში.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

თამარ ტალიაშვილმა, მარიამ ჩივაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის

ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დადებითად შეფასებისა და მისი საკრებულოსთვის განსახილველად გადაცემის შესახებ.

მომხრე _____	7
წინააღმდეგი _____	0
თავი შეიკავა _____	1 (კომისიის წევრმა, ბატონმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა)

განათლებისა და კულტურის კომისიამ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და მსჯელობის შედეგად დაადგინა:

განათლებისა და კულტურის კომისიას არ აქვს შენიშვნები და რეკომენდაციები აღნიშნული დადგენილების პროექტის მიმართ, დადებითად აფასებს მას და მხარს უჭერს მის გატანას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

თამარ ტალიაშვილი